გარანტიის მიმართ მოთხოვნები

დოკუმენტის ვერსიები

თარიღი და ვერსია	ცვლილების შინაარსი
06/2022 v.1	დამტკიცდა პირველი ვერსია
06/2023 v.2	მცირე დაზუსტება რეგისტრაციის ნაწილში
06/2024 v.3	მცირე დაზუსტება გარანტიის საორიენტაციო ფორმების ნაწილში

1. შესავალი

სემეკის 2020 წლის 11 აგვისტოს #46 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიური ბაზრების წესებით" განსაზღვრულია მოთხოვნები გარანტიის მიმართ, რომელიც წარმოადგენს ბირჟაზე მონაწილის მიერ აღებული ვალდებულებების უზრუნველყოფის საშუალებას. მონაწილეს გარანტიის წარდგენა შეუძლია ყოველი სამუშაო დღის 09:00 (CET) საათამდე, ინფორმაციის მიმოცვლის „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ფინანსური ინსტიტუტის კვალიფიციური ელექტრონული შტამპით ან ხელმოწერით: ელექტრონულ ფოსტაზე - settlement@genex.ge ; ან წერილობითი ფორმით მისამართზე - ქ.თბილისი, 0102, კ. ხეთაგუროვის 36. დღით ადრე და დღიური ბაზრების წესების 48-ე მუხლით, ბირჟის მონაწილეს გარანტიის წარდგენა შეუძლია:

- ⇒ **დეპოზიტის ფორმით**
- ⇒ **საბანკო გარანტიის ფორმით**
- ⇒ **ბირჟის ოპერატორის მიერ დაშვებული სხვა ფორმით.**

გარანტიის სხვა ფორმები განსაზღვრულია ამ დოკუმენტით, თუმცა მონაწილე უფლებამოსილია სენბის მიმართოს ინიციატივით, გარანტიის მიზნით ახალი ფინანსური პროდუქტის გამოყენებაზე. თუ გარანტიის ახალი ფორმა უზრუნველყოფს ვალდებულების დროულ და სრულ შესრულებას, სენბი ასახავს მას ამ დოკუმენტში და ნებისმიერ მონაწილეს შეეძლება მისი გამოყენება.

2. საერთო მოთხოვნები საბანკო გარანტიისა და აკრედიტივის მიმართ

1. ეს თავი აერთიანებს მოთხოვნებს, რომლებიც საერთოა ფინანსური ინსტიტუტის მიერ გაცემული გარანტიებისათვის - საბანკო გარანტია და სარეზერვო აკრედიტივი.
2. მონაწილის მიერ საბანკო გარანტიისა და სარეზერვო აკრედიტივის წარდგენისას, მის გამცემ ფინანსურ ინსტიტუტს უნდა ჰქონდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი შეფასება, რომელიც:
   - მინიჭებულია ერთ-ერთი შემდეგი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს მიერ: Fitch, Standard&Poor's ან Moody's; და
   - საქართველოს რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტის შემთხვევაში, საქართველოს რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტის შემთხვევაში, საკრედიტო რეიტინგი ტოლია ან აღემატება „B" ან „B2" რეიტინგს, ხოლო არარეზიდენტის შემთხვევაში - ტოლია ან აღემატება „BBB-" ან „Baa3" რეიტინგს.

   რეიტინგის ამ მოთხოვნასთან შეუსაბამოდ გაუარესების შემთხვევაში, მონაწილეს ახალი გარანტიის წარდგენისთვის აქვს ერთი თვე. ამ ვადის დაუცველობისას, სენბი უფლებამოსილია გაფრთხილებიდან ერთი სამუშაო დღის შემდეგ გააუქმოს (სავაჭრო ლიმიტის განსაზღვრისას აღარ მიიღოს მხედველობაში) წარდგენილი გარანტია.
3. მონაწილის მიერ გარანტიის წარდგენის, ხოლო სენბის მიერ - გარანტიის განაღდების მოთხოვნისათვის გამოიყენება ელექტრონული დოკუმენტბრუნვა. ელექტრონული დოკუმენტბრუნვა გულისხმობს ინფორმაციის მიმოცვლას „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. ინფორმაციის მიმოცვლა ხორციელდება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. თუ ფინანსურ ინსტიტუტს თავად აქვს დანერგილი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პლატფორმა, ინფორმაციის მიმოცვლისათვის დასაშვებია ამ პლატფორმის გამოყენება.

4. გარანტია, მოქმედების ვადის ამოწურვამდე **7 (შვიდი) დღით ადრე, უნდა ჩანაცვლდეს** იმავე ან სხვა ფორმის გარანტიით ან მოქმედს გაუგრძელდეს ვადა (ჩანაცვლების შემთხვევაში სენბი 1 (ერთი) სამუშო დღის ვადაში აცნობებს გარანტიის გამცემს ძველი გარანტიის ჩანაცვლების შესახებ).

5. გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს სენბის მიერ განსაზღვრული ფორმის დაცვით (ე.ი. უნდა შეიცავდეს ფორმაში მოცემული ყველა ინფორმაციას). ფორმის დაუცველად წარმოდგენილი გარანტია სენბის მიერ არ მიიღება.

3. დეპოზიტი

მონაწილის მიერ წარდგენილი დეპოზიტი გულისხმობს სენბის საბანკო ანგარიშზე თანხის განთავსებას, რომლის განკარგვა შესაძლებელია მხოლოდ სენბის ინიციატივით *(ბაზრის წესები, მუხლი 48, პუნქტი 3)*. დეპოზიტის წარმოდგენის შესახებ წერილის საორიენტაციო ფორმა მოცემულია დანართში #4.

4. საბანკო გარანტია

ბირჟის მონაწილის მიერ წარდგენილი საბანკო გარანტია *(ბაზრის წესები, მუხლი 48, პუნქტი 4)*:

- ⇒ გაცემული უნდა იყოს **უფლებამოსილი პირის** მიერ;
- ⇒ საბანკო გარანტიის მიმღები **(ბენეფიციარი)** უნდა იყოს **სენბი;**
- ⇒ საბანკო გარანტია უნდა იყოს **გამოუთხოვადი,** რათა, ბირჟის მონაწილის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იყოს საბანკო გარანტიაში განსაზღვრული თანხის გადახდა, სენბის მოთხოვნისთანავე.

ბირჟის ოპერატორი უფლებამოსილია საბანკო გარანტიის მიმართ განსაზღვროს დამატებითი მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფს გარანტიის ლიკვიდურობას *(ბაზრის წესები, მუხლი 48, პუნქტი 5)*. **დამატებითი მოთხოვნები** საბანკო გარანტიის მიმართ:

- ⇒ გარანტმა უნდა იკისროს ვალდებულება, გადაუხადოს სენბის გარანტიაში მითითებული თანხა სენბის მოთხოვნისა და ბირჟის მონაწილის (პრინციპალის) მიერ ბირჟაზე შესყიდული ელექტროენერგიის გადასახდელ ღირებულებაზე, სენბის მხრიდან მოთხოვნის მიღებიდან **3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;**
- ⇒ ხელშეკრულება **არ უნდა ითვალისწინებს სენბის მიმართ სხვა მოთხოვნას** (გარდა ინვოისის წარდგენისა), რომლის დაკმაყოფილებაც წინ უნდა უძღოდეს გარანტის მიერ ვალდებულების შესრულებას. ინვოისი წარმოადგენს ბაზრის წესების შესაბამისად სენბის სავაჭრო პლატფორმაზე გენერირებულ დოკუმენტს *(ბაზრის წესები, მუხლი 45)* ან სენბის მიერ პირგასამტეხლოზე ან მისი მომსახურების საფასურზე გამოწერილ დოკუმენტს;
- ⇒ საბანკო გარანტიის ფარგლებში **დაშვებული** უნდა იყოს **თანხის გადახდა ნაწილნაწილ;**
- ⇒ ვინაიდან საბანკო გარანტიის განაღდების მოსალოდნელი მაქსიმალური ვადაა 3 სამუშაო დღე, ბირჟაზე სავაჭრო ლიმიტის განსაზღვრის მიზნით გაითვალისწინება წარმოდგენილი საბანკო გარანტიის მხოლოდ ნაწილი, რომელიც გამოითვლება შემდეგი ფორმულით: **საბანკო გარანტიის ოდენობა / (1+3*0.005)**.

<u>საბანკო გარანტიის ფორმა მოცემულია დანართში #1. სენბი და მონაწილის მომსახურე ბანკი შესაძლოა შეთანხმდნენ გარანტიის ალტერნატიულ ფორმულირებაზეც, თუ ამის საჭიროება იქნება.</u>

5. გარანტიის სხვა ფორმები

ბირჟის ოპერატორმა გარანტიის სხვა ფორმით წარდგენის შესაძლებლობის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია უნდა გამოაქვეყნოს მის ვებგვერდზე *(ბაზრის წესები, მუხლი 48, პუნქტი 8)*.

5.1. სარეზერვო (სთენდბაი) აკრედიტივი (STANDBY LC)

სარეზერვო აკრედიტივი რეგულირდება დოკუმენტური აკრედიტივების (UCP latest version) უნიფიცირებული წესებით[1].

სარეზერვო აკრედიტივი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ სავალდებულო პირობებს:

- ⇒ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ფინანსური ინსტიტუტის გამოუთხოვადი ვალდებულება, გადაუხადოს ბენეფიციარს აკრედიტივის თანხა, ბენეფიციარის მხრიდან შესაბამისი მოთხოვნის წარმოდგენის შემთხვევაში;
- ⇒ სარეზერვო აკრედიტივის მიმღები **(ბენეფიციარი)** უნდა იყოს **სენბი;**
- ⇒ სარეზერვო აკრედიტივი უნდა იყოს **გამოუთხოვადი,** რათა, ბირჟის მონაწილის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იყოს სარეზერვო აკრედიტივში განსაზღვრული თანხის გადახდა, სენბის მოთხოვნისთანავე;
- ⇒ აკრედიტივის გამხსნელმა უნდა იკისროს ვალდებულება, გადაუხადოს სენბის აკრედიტივის თანხა, ფულადი თანხის გადახდის შესახებ მოთხოვნისა და ბირჟის მონაწილის/პრინციპალის მიერ ბირჟაზე შესყიდული ელექტროენერგიის გადასახდელ ღირებულებაზე **გადაუხდელი** ინვოისის მიღებიდან **1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში**[2];
- ⇒ ხელშეკრულება **არ უნდა ითვალისწინებს სენბის მიმართ სხვა მოთხოვნას** (გარდა ინვოისის წარდგენისა), რომლის დაკმაყოფილებაც წინ უნდა უძღოდეს აკრედიტივის გამხსნელის მიერ ვალდებულების შესრულებას. ინვოისი წარმოადგენს ბაზრის წესების შესაბამისად სენბის სავაჭრო პლატფორმაზე გენერირებულ დოკუმენტს *(ბაზრის წესები, მუხლი 45*);
- ⇒ ხელშეკრულებით არ უნდა იყოს გათვალისწინებული რომელიმე მხარის ისეთი უფლება ან ვალდებულება, რომელიც საფრთხეს უქმნის ბირჟის მონაწილის მიერ ბირჟაზე აღებული ვალდებულების შესრულებას;
- ⇒ სარეზერვო აკრედიტივის ფარგლებში **დაშვებული** უნდა იყოს **თანხის გადახდა ნაწილნაწილ.**

სარეზერვო აკრედიტივის ფორმა მოცემულია დანართში #2. სენბი და მონაწილის მომსახურე ბანკი შესაძლოა შეთანხმდნენ გარანტიის ალტერნატიულ ფორმულირებაზეც, თუ ამის საჭიროება იქნება.

---

[1] საერთაშორისო სავაჭრო პალატის პუბლიკაცია, 2007 წლის რედაქცია.

[2] იმ შემთხვევაში, თუ ინვოისით გათვალისწინებული თანხის ნაწილი დაფარულია პრინციპალის მიერ, ინვოისის ასლს თან უნდა ახლდეს ბენეფიციარის წერილობითი განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება წინამდებარე აკრედიტივის ნომერი და პრინციპალის მიერ გადაუხდელი თანხის ოდენობა.

5.2. ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ

ბირჟის მონაწილის მიერ გარანტიის ფორმად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ბაზრის სხვა მონაწილესთან *(ბირჟის კრედიტორი)* წერილობითი შეთანხმება. შეთანხმება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- ⇒ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ვალდებულების შესრულება მესამე პირის - ბირჟის კრედიტორის მიერ, რაც გულისხმობს ამ პირის თანხმობას ბირჟაზე მისი მოთხოვნის შემცირებაზე/გაუქმებაზე, გარანტიის წარმდგენი მონაწილის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ დებიტორული დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში;
- ⇒ თუ წერილობით თანხმობაში სხვაგვარად არ იქნა მითითებული, ბირჟის მონაწილის **სავაჭრო ლიმიტი განისაზღვრება** *ბირჟის კრედიტორის* მიმართ არსებული კრედიტორის მოთხოვნის სრული ოდენობით***;**
- ⇒ ბირჟის მონაწილის მიერ ბირჟის მიმართ არსებული ვალდებულების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, სენბი ბირჟის მონაწილის **ვალდებულებას სრულად დაფარავს ბირჟის კრედიტორისათვის ასანაზღაურებელი თანხიდან,** რის თაობაზეც დაუყოვნებლივ აცნობებს ბირჟის მონაწილეს და *ბირჟის კრედიტორს;*
- ⇒ ბირჟის კრედიტორის სავაჭრო ლიმიტის გაანგარიშებისას, მხედველობაში აღარ მიიღება კრედიტორული დავალიანება, რომელიც უკვე გამოყენებულია გარანტიის სახით სხვა მონაწილის მიერ;
- ⇒ იმ შემთხვევაში, თუ სენბის კრედიტორის მოთხოვნა არის ამ პუნქტში მითითებულ ოდენობაზე ნაკლები, სენბის დებიტორის სავაჭრო ლიმიტის დადგენა მოხდება კრედიტორული მოთხოვნის შესაბამისად.

<u>დანართში #3 მოცემულია შეთანხმების საორიენტაციო ფორმა.</u>

დანართი 1. საბანკო გარანტიის ფორმა

[ადგილი] *[დღე/თვე/წელი]*

საბანკო გარანტია №_____

გარანტი: *[გარანტის დასახელება; საიდენტიფიკაციო კოდი]*;
გარანტის მისამართი: *[გარანტის ზუსტი მისამართი]*
პრინციპალი: *[დასახელება სამართლებრივი ფორმის მითითებით; საიდენტიფიკაციო კოდი]*
ბენეფიციარი: სს საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა (ს/კ 404589432)
საგარანტიო თანხა: _____ *[თანხა სიტყვიერად]* ლარი

პრინციპალი მონაწილეობას იღებს ბენეფიციარის მიერ ბირჟაზე ორგანიზებულ ელექტროენერგიით ვაჭრობაში და ვაჭრობის პირობების თანახმად იგი ვალდებულია წარადგინოს ფინანსური უზრუნველყოფის საშუალება, ამ შემთხვევაში, საბანკო გარანტია. საბანკო გარანტია უზრუნველყოფს პრინციპალის მიერ ელექტროენერგიით ვაჭრობის შედეგად ბენეფიციარის წინაშე წარმოქმნილი ვალდებულების (მათ შორის, პირგასამტეხლო და ბენეფიციარის მომსახურების საფასური) დაფარვას. ჩვენ *[ბანკის დასახელება]* (შემდგომში „გარანტი“) თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის სახელზე აღნიშნული საბანკო გარანტია.

გარანტი კისრულობს გამოუთხოვად ვალდებულებას, ბენეფიციარის მოთხოვნის საფუძველზე მისი წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) საბანკო დღის[1] ვადაში აუნაზღაუროს მას თანხა ჯამურად არაუმეტეს საგარანტიო თანხისა.

ბენეფიციარის მოთხოვნა საგარანტიო თანხის ანაზღაურებაზე გარანტს უნდა წარედგინოს წერილობითი ფორმით და მოთხოვნაში უნდა იყოს მითითებული შემდეგი:

1. ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტები და წინამდებარე გარანტიის ნომერი;
2. გარემოება, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევა (რომ პრინციპალმა არ გადაიხადა ელექტროენერგიის საფასური ინვოისის გამოწერიდან 1 საბანკო დღის ვადაში ან არ გადაიხადა დარიცხული პირგასამტეხლო ან ბენეფიციარის მომსახურების საფასური დადგენილ ვადებში).
3. ინფორმაცია პრინციპალის მიერ გადახდილ თანხასა და გადასახდელი თანხის მოცულობაზე.

   მოთხოვნას თან უნდა ახლდეს: ინვოისი;

წინამდებარე საბანკო გარანტიის ფარგლებში ნაწილ-ნაწილ თანხის გადახდა დაშვებულია.

დოკუმენტების წარდგენის ადგილი:

ა) *[გარანტის დასახელება]*, მისამართზე: *[გარანტის ზუსტი მისამართი]*; ან
ბ) გარანტის ელექტრონული ფოსტის მისამართზე: *[გარანტის ელ-ფოსტა]*. წერილობითი მოთხოვნის ელექტრონული ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში, მოთხოვნაზე უნდა იყოს ბენეფიციარის კვალიფიციური ელექტრონული შტამპი ან ელექტრონული ხელმოწერა.

წინამდებარე საბანკო გარანტია მოქმედებს *[დღე/თვე/წელი]* ჩათვლით (შემდგომში „მოქმედების ვადა“).
ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა მიიღება მხოლოდ მოქმედების ვადაში, სამუშაო საათებში[2].

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლით;
- გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის საგარანტიო თანხის სრულად გადახდით;
- ბენეფიციარის მიერ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე საკუთარ უფლებებზე წერილობით უარის თქმით.

---

[1] საბანკო დღე - დღე (შაბათის, კვირის ან/და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით კომერციული ბანკებისათვის განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა), როდესაც საქართველოში კომერციული ბანკები ღიაა და წარმართავენ თავიანთ საქმიანობას.
[2] სამუშაო საათები - საბანკო დღის 10:00 საათიდან 17:00 საათის ჩათვლით პერიოდი.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დადგენილი უნიფიცირებული წესებით მოთხოვნამდე გარანტიებზე (პუბლიკაცია #758). საბანკო გარანტიის თაობაზე ან მასთან დაკავშირებით წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

[გარანტის დასახელება]
წარმომადგენელი *[სახელი და გვარი]*

დანართი 2. სარეზერვო აკრედიტივის ფორმა

[ადგილი] *[დღე/თვე/წელი]*

სარეზერვო (სტენდბაი) აკრედიტივი №_____

წინამდებარე სტენდბაი აკრედიტივის გაცემით (შემდგომში „აკრედიტივი“), *[ბანკის დასახელება]* იღებს გამოუთხოვად ვალდებულებას, გადაუხადოს ბენეფიციარს აკრედიტივის თანხა, აკრედიტივით მოთხოვნილი დოკუმენტის ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად წარმოდგენის შემთხვევაში.

აკრედიტივის გამხსნელი ბანკი: *[ბანკის დასახელება]*
ბანკის მისამართი: *[ბანკის ზუსტი მისამართი]*
ბანკის ელ ფოსტა: *[ბანკის ელექტრონული ფოსტის მისამართი]*

აპლიკანტი/პრინციპალი: *[დასახელება სამართლებრივი ფორმის მითითებით]*
პრინციპალის ს/კ: *[საიდენტიფიკაციო კოდი]*
პრინციპალის ანგარიშის ნომერი: *[IBAN]*

ბენეფიციარი: სს საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა
ბენეფიციარის ს/ნ: 404589432
ბენეფიციარის ელ. ფოსტა: settlement@genex.ge
ბენეფიციარის ანგარიშის ნომერი: GE0000000000000000000

აკრედიტივის თანხა: _____ *[თანხა სიტყვიერად]* ლარი

აკრედიტივის თარიღი: *[დღე/თვე/წელი]*

პრინციპალი მონაწილეობას იღებს ბენეფიციარის მიერ ბირჟაზე ორგანიზებულ ელექტროენერგიით ვაჭრობაში, რომლის პირობების თანახმად პრინციპალი ვალდებულია წარადგინოს ფინანსური უზრუნველყოფის საშუალება, ამ შემთხვევაში, აკრედიტივი. აკრედიტივი უზრუნველყოფს პრინციპალის მიერ ელექტროენერგიის ვაჭრობის შედეგად ბენეფიციარის წინაშე წარმოქმნილი ვალდებულების (მათ შორის, პირგასამტეხლო და ბენეფიციარის მომსახურების საფასური) დაფარვას. ჩვენ *[ბანკის დასახელება]* (შემდგომში „ბანკი“) თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის სახელზე აღნიშნული აკრედიტივი.

ბანკი კისრულობს გამოუთხოვად ვალდებულებას, ბენეფიციარის მოთხოვნისას აუნაზღაუროს მას თანხა არაუმეტეს აკრედიტივის თანხისა.

ბანკი აკრედიტივს გადაიხდის ბენეფიციარის მიერ ქვემოთ მოცემული დოკუმენტ(ებ)ის წარდგენიდან 1 (ერთი) საბანკო დღის[1] ვადაში:

წარსადგენი დოკუმენტები:

1. ინვოისი;
2. ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა აკრედიტივის თანხის გადახდის შესახებ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტები და წინამდებარე აკრედიტივის ნომერი, ასევე ინფორმაცია პრინციპალის მიერ გადახდილ თანხასა და გადასახდელი თანხის მოცულობაზე.

დოკუმენტების წარდგენის ადგილი:

ა) [**აკრედიტივის გამხსნელი ბანკის** *დასახელება]*, მისამართზე: *[აკრედიტივის გამხსნელი ბანკის ზუსტი მისამართი]*. ან

ბ) აკრედიტივის გამხსნელი ბანკისელექტრონული ფოსტის მისამართზე: *[აკრედიტივის გამხსნელი ბანკის ელ-ფოსტა].* დოკუმენტების ელექტრონული ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში, ბენეფიციარის მოთხოვნაზე უნდა იყოს ბენეფიციარის კვალიფიციური ელექტრონული შტამპი ან ელექტრონული ხელმოწერა.

წინამდებარე აკრედიტივის ფარგლებში ნაწილ-ნაწილ თანხის გადახდა დაშვებულია.

---

[1] საბანკო დღე - დღე (შაბათის, კვირის ან/და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით კომერციული ბანკებისათვის განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა), როდესაც საქართველოში კომერციული ბანკები ღიაა და წარმართავენ თავიანთ საქმიანობას.

წინამდებარე აკრედიტივი მოქმედებს *[დღე/თვე/წელი]* ჩათვლით. შესაბამისად, თანხის გადახდაზე ნებისმიერი მოთხოვნა ბენეფიციარმა უნდა წარადგინოს ამ თარიღის ჩათვლით.
ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა მიიღება მხოლოდ მოქმედების ვადაში, სამუშაო საათებში[1].

აკრედიტივი ავტომატურად უქმდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- მოქმედების ვადის გასვლით;
- ბანკის მიერ ბენეფიციარისთვის აკრედიტივის თანხის სრულად გადახდით;
- ბენეფიციარის მიერ აკრედიტივიდან გამომდინარე საკუთარ უფლებებზე წერილობით უარის თქმით.

წინამდებარე აკრედიტივი ექვემდებარება უნიფიცირებულ წესებს და ჩვეულებებს დოკუმენტურ აკრედიტივებზე (UCP latest version), საერთაშორისო სავაჭრო პალატის პუბლიკაცია, 2007წ. რედაქცია.

ყველა დავა, რომელიც გამომდინარეობს ამ აკრედიტივიდან ან დაკავშირებულია მასთან გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ. ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1[1] ნაწილის შესაბამისად.

[ბანკის დასახელება]
წარმომადგენელი *[სახელი და გვარი]*

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

[1] სამუშაო საათები - საბანკო დღის 10:00 საათიდან 17:00 საათის ჩათვლით პერიოდი.

დანართი 3. ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ

შეთანხმება
მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების შესახებ[1]

წინამდებარე შეთანხმება, შემდგომში მოხსენიებული როგორც „შეთანხმება“ დადებულია მხარეებს შორის:

„ საწარმოს დასახელება “ [ს/კ _____; ბირჟაზე რეგისტრაციის ნომერი: D _ _ _ _ _], (როგორც „სენბის დებიტორი“), რომელიც დაფუძნებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისამართი: _____, წარმოდგენილი ___თანამდებობა___, ____სახელი გვარი___ სახით, რომელიც მოქმედებს _____ შესაბამისად,

„ საწარმოს დასახელება “ [ს/კ _____; ბირჟაზე რეგისტრაციის ნომერი: D _ _ _ _ _], (როგორც „სენბის კრედიტორი“), რომელიც დაფუძნებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისამართი: _____, წარმოდგენილი ___თანამდებობა___, ____სახელი გვარი___ სახით, რომელიც მოქმედებს _____ შესაბამისად.

მხარეები წარმოადგენენ ბირჟის მონაწილეებს და ვაჭრობენ დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე. “გარანტიის მიმართ მოთხოვნების” დამტკიცების შესახებ სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ გენერალური დირექტორის 2022 წლის __ აპრილის ბრძანების გათვალისწინებით, წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერით მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

ამ შეთანხმებაში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ იგივე მნიშვნელობა, რაც ბაზრის წესებში. სხვა ტერმინებს, ამ შეთანხმების მიზნებისათვის, აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ბაზრის წესები - „ელექტროენერგიის ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 11 აგვისტოს #46 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიური ბაზრების წესები“;

ბ) სენბი - სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“, ბირჟის ოპერატორი;

გ) სენბის დებიტორი - მონაწილე, რომელიც გეგმავს ბირჟაზე ვაჭრობას და მოელის, რომ ამ ვაჭრობის შედეგად სენბის მიმართ წარმოეშვება ფინანსური ვალდებულება ან აქვს ასეთი ვალდებულება;

დ) სენბის კრედიტორი - მონაწილე, რომელსაც სენბის მიმართ აქვს მოთხოვნა (სენბისგან მისაღები აქვს თანხა);

ე) მომავალი ვალდებულება - ბირჟაზე ვაჭრობის შედეგად სენბის მიმართ სენბის დებიტორის მოსალოდნელი ფინანსური ვალდებულება, რომლის უზრუნველსაყოფადაც ხდება გარანტიის წარდგენა;

ვ) ვადამოსული დავალიანება - ბირჟაზე სენბის დებიტორის ვაჭრობის შედეგად წარმოქმნილი დავალიანება სენბის მიმართ, რომლის გადახდის ვადაც დამდგარია;

ზ) კრედიტორის მოთხოვნა - ბირჟაზე ვაჭრობის შედეგად წარმოქმნილი სენბის კრედიტორის მოთხოვნა სენბის მიმართ.

მუხლი 2. შეთანხმების საგანი

1. შეთანხმების საგანს წარმოადგენს ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ, რაც გულისხმობს, რომ სენბის კრედიტორი თანახმაა:
   ა) სენბის დებიტორის მიერ კრედიტორის მოთხოვნა წარდგენილ იქნეს სენბისათვის მომავალი ვალდებულების უზრუნველყოფის გარანტიის სახით;
   ბ) კრედიტორის მოთხოვნა სენბის მიერ გამოყენებულ იქნეს, როგორც სენბის დებიტორის გარანტია და სრულად ან ნაწილობრივ იქნეს მიმართული სენბის დებიტორის ვადამოსული დავალიანების დაფარვის მიზნით, ასეთი საჭიროების შემთხვევაში;
   გ) სენბიმ შეამციროს კრედიტორის სავაჭრო ლიმიტი გარანტიის ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ოდენობით.
2. გარანტიის ამ ფორმის გამოყენება დასაშვებია, თუ სენბის მიერ კრედიტორის მოთხოვნის დაფარვის ვადა უფრო გვიან დგება, ვიდრე სენბის დებიტორის მიერ - მომავალი ვალდებულების.
3. სენბის დებიტორის მიერ გარანტიის სახით გამოიყენება სენბის კრედიტორის მოთხოვნა [სრულად ან არაუმეტეს ---- ლარისა].
4. იმ შემთხვევაში, თუ სენბის დებიტორი ბაზრის წესებით დადგენილ ვადაში არ დაფარავს ვადამოსულ დავალიანებას, სენბი ვადამოსულ დავალიანებას დაფარავს, არაუმეტეს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ოდენობით, სენბის კრედიტორის მოთხოვნიდან და შესაბამისად შეამცირებს კრედიტორის მოთხოვნას.
5. ეს შეთანხმება ძალაში შედის [თარიღი] და ძალაშია [პერიოდი].
6. შეთანხმება უქმდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:
   ა) ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული ვადის გასვლით;
   ბ) მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით;
   გ) ცალმხრივად, სენბისთვის წინასწარ შეტყობინებით.
7. ამ შეთანხმების გათვალისწინება სენბის დებიტორის სავაჭრო ლიმიტის დადგენისას შეწყდება:

ა) ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში -პერიოდის დასრულებამდე 2 საბანკო დღით ადრე, 10:00 საათიდან (ცენტრალური ევროპული დროით);

ბ) ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში - მხარეების/მხარის ოფიციალური შეტყობინების მიღებიდან მხარეთა მიერ განსაზღვრულ საბანკო დღეს, მაგრამ არაუადრეს სენბის ინფორმირებიდან ორი საბანკო დღისა, 10:00 საათიდან (ცენტრალური ევროპული დროით), რომელი თარიღიც უფრო გვიანია.

მუხლი 3. მხარეთა და სენბის შორის კომუნიკაცია

1. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ შეთანხმებისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების მიმოცვლა შესაძლებელია ასევე ელექტრონული ფოსტით და ამის შესახებ სატელეფონო შეტყობინების გაგზავნით: ა) სენბის დებიტორი: ელ ფოსტა _____@_____ ტელეფონი _____
   ბ) სენბის კრედიტორი: ელ ფოსტა _____@_____ ტელეფონი _____

2. მხარის მიერ სენბისთვის ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი დოკუმენტი უნდა დასტურდებოდეს ელექტრონული შტამპით.
3. ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დოკუმენტი მეორე მხარის მიერ მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ ადრესატის მიერ მიღების დადასტურების შემდეგ, ელექტრონულ ფოსტაზე ან ტელეფონზე გამგზავნისთვის გაგზავნილიეტყობინებით.
4. სენბისთან კომუნიკაცია ხორციელდება „კლირინგისა და ანგარიშსწორების გზამკვლევითა“ და „გარანტიის მიმართ დამატებითი მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ“ სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ გენერალური დირექტორის 2022 წლის __ თებერვლის ბრძანებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები (არასავალდებულო მუხლი)

1. ეს ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.
2. ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავისას შეუთანხმებლობის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განსახილველად გადაეცემა საქართველოს საერთო სასამართლოს [არბიტრაჟის გამოყენების შემთხვევაში - მხარეთა შორის შეთანხმებული შესაბამისი არბიტრაჟი].

მხარეთა ხელმოწერა

სენბის დებიტორი	**სენბის კრედიტორი**
ხელმომწერის სახელი და გვარი	ხელმომწერის სახელი და გვარი
_____. _____	_____. _____
თანამდებობა	თანამდებობა
_____	_____
თარიღი:	თარიღი:

დანართი 4. დეპოზიტის წერილი

დეპოზიტზე თანხის განთავსებისას სენბისთვის მისაწოდებელი შეტყობინების საორიენტაციო ფორმა. წერილის მიწოდება უნდა მოხდეს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: settlement@genex.ge

შეტყობინება დეპოზიტის წარმოდგენის შესახებ

გაცნობებთ, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 11 აგვისტოს #46 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიური ბაზრების წესების“ შესაბამისად, ბირჟაზე წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, სენბის მიერ მითითებულ ანგარიშის ნომერზე: GE15TB7434736030100003 დეპოზიტის სახით განთავსებულ იქნა გარანტია.

- თანხის მიმღები : სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა”.
- დეპოზიტის წარმდგენი მონაწილის დასახელება:
- დეპოზიტის წარმდგენი მონაწილის ს.კ :
- საგარანტიო თანხის ოდენობა (ლარი):

თარიღი : --/--/---

-